ტრენერთა საკონკურსო შერჩევის შესახებ

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,**აჭარის განათლების ფონდი**" (ბათუმის მასწავლებლის სახლი) და უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი **,,Save the Children International"**-ის საქართველოში წარმომადგენლობითი ოფისი აცხადებს ბათუმის მასწავლებლის სახლის ტრენერების შესარჩევ კონკურსს შემდეგი მიმართულებით: **,,კატასტროფების რისკის შემცირება და კლიმატის ცვლილებები".**

1.1. საკონკურსო შერჩევის ეტაპები:

- ელექტრონულად წარმოდგენილი CV-ისა და სამოტივაციო წერილის საფუძველზე შერჩევა;
- ინდივიდუალური გასაუბრება;
- ტრენერთა ტრენინგი.

1.2. ტრენერის ძირითადი მოვალეობები:

- ტრენინგების ჩატარება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლების (ქ. ბათუმი; ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტები) მასწავლებლებისთვის;
- ჩატარებული ტრენინგების შეფასება და ანალიზი შემუშავებული სტანდარტების მიხედვით;
- ტრენინგის ანგარიშის მომზადება ტრენინგების კოორდინატორის მოთხოვნის შესაბამისად;
- ტრენინგის მოდულის განახლება;
- ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდის მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა;

1.3. ტრენერის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება;
- განათლების სფეროში მუშაობის 5 წლიანი სტაჟი;
- ტრენინგების ჩატარების 2 წლიანი გამოცდილება;
- მაღალი კომუნიკაბელურობა და ცოდნის გადაცემის უნარ-ჩვევები;
- კომპიუტერული საოფისე პროგრამების ცოდნა (Microsoft Office Word; Microsoft Office Excel; Microsoft Office PowerPoint);

1.4. განაცხადის წარდგენის წესი:

დაინტერესებულმა პირებმა კონკურსის პირველ ეტაპზე უნდა წარმოადგინონ: ავტობიოგრაფია (CV) და სამოტივაციო წერილი შემდეგ ელ. მისამართზე: ajaraedufund@gmail.com.

განაცხადის წარმოდგენის საბოლოო ვადაა 2015 წლის 4 სექტემბერი (18.00 სთ). დოკუმენტაცია მიიღება მხოლოდ ელექტრონულად.

შენიშვნა: *კანდიდატები, რომლებიც წარმატებით გაივლიან შესარჩევი კონკურსის პირველ ეტაპს, ვალდებული არიან კონკურსის მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:*

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი;

გ) განათლების სფეროში მუშაობის 5 წლიანი სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) ტრენინგების ჩატარების 2 წლიანი გამოცდილების დამდასტურებელი დოკუმენტი,

მეორე ეტაპზე გასული კანდიდატები, რომლებიც ვერ წარმოადგენენ ზემოაღნიშნულ დოკუმენტაციას, მოიხსნებიან კონკურსიდან.

ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი:

ლალი ლომთათიძე (დირექტორის მოადგილე)

საკონტაქტო ტელეფონი: 599 94 04 66

ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი

მისამართი: ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქუჩა №121

ტელ.: 24 84 80

ელ-ფოსტა: ajaraedufund@gmail.com